



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
დადგენილება №23

აბაშა, 2018 წლის 21 მაისი

„აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 თებერვლის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.**

„აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 თებერვლის №10 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) 04.03.2015. სარეგისტრაციო კოდი 200130000.35.110.016198) შეტანილ იქნეს ცვლილება, კერძოდ: შეიცვალოს დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-5 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლის პირველი ნაწილის „3<sup>2</sup>“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქონების გადასახადისაგან სრულად გათავისუფლდეს:
  - ა) საცხოვრებელ სახლებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები;
  - ბ) ავტოფარეხებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქონების გარდა, ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებისას გამოიყენება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლი.“.

**მუხლი 2.**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე:

მ. კვიციანი